სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №160

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2017წ.

2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ

"ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე" ქვეპუნქტის, „2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 მარტის №18 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის ეკატერინე კლდიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N1460566, 30.11.2017) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სიები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2017 წლის 6 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობის ასლი, პირადი ანგარიშის ნომერი (საბანკო რეკვიზიტები) და მასპინძელი დაწესებულების ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი.

4. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2017 წლის 15 დეკემბრისა.
5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

დანართი 1
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის30 ნოემბრის N160 ბრძანებით

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

N	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
1	YS17_32	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნანოსტრუქტურული ნახშირბადის ზედაპირებზე ფუნქციონირებული რედოქს პროტეინების ვოლტამეტრული დახასიათება	46.50
2	YS17_71	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ეპისტემიური კონცეფციები სტრუქტურირებულ მულტი-აგენტურ სისტემებში	45.00
3	YS17_85	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	თანასაზოგადოებების განვითარების კვლევა ჯავახეთის ხელოვნური ტყეების მაგალითზე	43.50
4	YS17_49	საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	ქარბუქი საქართველოს ტერიტორიაზე	43.00
5	YS17_65	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლის ლითოდინამიკის გამოკვლევა და ნაპირდაცვითი ღონისძიებების დასაბუთება	42.00
6	YS17_102	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	კვადრუპლექს-პრაიმერული ამპლიფიკაცია ადამიანის სხეულის ნორმალური ტემპერატურის ფარგლებში	42.00
7	YS17_78	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინფორმაციული ომის ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემა (იოაის)	41.00
8	YS17_10	ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	ანიონური ATPაზების ნეიროტრანსმიტერით რეგულაციის მექნიზმი	41.00
9	YS17_12	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კავკასიონის მყინვარების მონიტორინგის ქსელი	40.50
10	YS17_84	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	თიროიდული ჰორმონების ინტეგრინ-გაშუალებული გავლენა მიტოფაგიაზე	39.50
11	YS17_83	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფოტოინდუცირებული პროცესების ნანომოლეკულური შესწავლა მეტალ-ინკაფსულირებულ PAMAM დენდრიმერებში	39.00

12	YS17_94	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სიმრავლეთა თეორიის მოდელების ზოგიერთი გამოყენება ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიაში	39.00
13	YS17_19	ივ. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მიჩისონის არაწრფივი სისტემისა და მისი მრავალგანზომილებიანი ანალოგის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა	38.50
14	YS17_13	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ოპტიმალური ანტენის სინთეზის ამოცანის გადაჭრა ველის სინგულარობების გამოყენებით	38.00
15	YS17_9	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	წყლის გამწმენდი-სადეზინფექციო ფოტო - ელექტროქიმიური სისტემა	37.00
16	YS17_44	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	მეტალორგანული ნანოსტრუქტურების გაუმჯობესებული სინთეზი მიცელარული ტემპლატების გამოყენებით	37.00
17	YS17_75	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	წამლების ბიოშემთავსებლობის შესწავლა მიკროემულსიური სისტემებით in vitro	37.00
18	YS17_54	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართული საუბრის ამომცნობი სისტემის შექმნა	36.50
19	YS17_59	ელიავას ბაქტერიოფაგების ინსტიტუტი, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია	CRISPR სისტემის როლი სტრეპტოკოკების ფაგორეზისტენტობის განვითარებაში	36.50
20	YS17_87	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ნეანდერტალელები დასავლეთ საქართველოში	36.50
21	YS17_55	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ღვარცოფების საფრთხის შეფასება საქართველოში	36.00
22	YS17_50	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კომპლექსური კარსტულ-სპელეოლოგიური კვლევების განხორციელება საქართველოში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით	35.50
23	YS17_88	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ნანოგადამტანი, ტრიაზოლური მაკროჰეტეროციკლური ნაერთის სინთეზი, ქლიკ ქიმიის მეთოდით	35.50

24	YS17_26	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ურანგო არამკაფიო ლოგიკა და მისი გამოყენებები	35.00
25	YS17_38	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უპილოტო საფრენ აპარატზე დაფუძნებული ატმოსფეროს კვლევის პლატფორმის შექმნა	34.50
26	YS17_61	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ოპტიკურად მკვრივი, შემთხვევითი ფაზური ეკრანიდან გაბნეული ლაზერული გამოსხივების სიგნალი/ხმაურის თანაფარდობის შეფასება	34.00
27	YS17_27	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცის ზოგიერთი გეომეტრიული თვისება და ჰარდი-ლიტვუდის მაქსიმალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა	33.50
28	YS17_56	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ტრანსასაზღვრო მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსებზე	33.50
29	YS17_95	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ბრინჯაოს მეტალურგიის საწარმოო ცენტრები საქართველოში ძვ.წ. I ათასწლეულში	33.00
30	YS17_22	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზოგიერთი სტეროიდული ჰორმონის რეცეპტორის ექსპრესიისა და ესტროგენ რეცეპტორ ალფა გენის პოლიმორფიზმის შესწავლა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებში (აჭარის პოპულაციაში)	32.50
31	YS17_77	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევოლუციური პროგრამირების გამოყენება კრიპტოლოგიაში	32.00
32	YS17_76	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხანგრძლივი ფაიქოსოციალური სტრესის გავლენა ჰიპოკამპში კალციუმის რაოდენობრივი ცვლილების ხასიათზე	30.50
33	YS17_21	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ელექტროქიმიური გენერაცია და ჩამდინარე წყლების გაწმენდა	25.00
34	YS17_66	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინოვაციური პროცესების მოდელირება და მართვა,იდეების მართვის ინტელექტუალური სისტემის "იდეამეტრიკა" საფუძველზე	23.50

ინჟინერია და ტექნოლოგიები

N	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
1	YS17_15	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბიო-გამოყენების მაგნიტური ნანოსითხის სინთეზი პლაზმის გენერაციის გამოყენებით სითხეში	47.00
2	YS17_40	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფრაქტალური მატრიცული სტრუქტურების გამოკვლევა და სინთეზი	40.50
3	YS17_33	რ. დვალის მანქანათ მექანიკის ინსტიტუტი	ელმავლის საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება სავალი ნაწილის ტრიბოტექნიკური და დინამიკური მახასიათებლების და კონსტრუქციული სრულყოფით	39.00
4	YS17_86	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კერამიკა-გრაფენის ტიპის კომპოზიციური მასალების მიღება და კვლევა	38.50
5	YS17_82	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ახალი, კოვალენტურად გაკერილი, ბიოდეგრადირებადი მიცელები როგორც წამლის გადამტანი ნანოკონტეინერები: მიღება და კვლევა	38.00
6	YS17_48	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეორადი ნახშირბადოვანი ნედლეულიდან ნანოფხვნილების მიღება და გამოყენება კომპოზიციურ დანაფარებში	37.50
7	YS17_41	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მსუბუქი კონსტრუქციული პოლიმერჩობეტონის ფიზიკურ-მექნიკური თვისებების კვლევა და სამშენებლო კომპანიებისთვის შეთავაზება მისი შემდგომი დანერგვისათვის	37.00
8	YS17_92	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაღალი სიხშირის EMI ზონდირება აუფეთქებელი ნაღმების დეტექტირებისა და კლასიფიცირებისთვის.	36.50
9	YS17_6	სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	გავრცობილი საინჟინრო ნაგებობების მდგრადობის მონიტორინგი მაღალი სიზუსტის გეოდეზიური აგეგმვის გაგმოყენებით.	34.50
10	YS17_62	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მზის ელექტრული სადგურების ცვლადი დენის მიმღებ ელექტრულქსელთან პარალელური მუშაობის რეჟიმების ანალიზი და მართვა	34.00
11	YS17_52	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნამწვი გაზების ემისიის შემცირება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ნაკადების ადაპტური მართვის მეთოდებით	28.00
12	YS17_28	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხელოვნური ნეირონები ინტელექტუალურ სისტემათა ინჟინერიაში	26.50

13	YS17_39	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ელექტრომემბრანული პროცესების ფორმირების, დიაგნოსტიკის და პრაქტიკული გამოყენების საკითხები	26.50
14	YS17_69	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბისმუტის ფერიტის მულტიფეროიკული მაგნიტომეტრული სენსორის გამოკვლევა	24.00
15	YS17_89	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქ. თბილისის ეკოლოგიურიმდგომარეობის გაუმჯობესება საავტომობილო ტრანსპორტზე ალტერნატიული საწვავის გამოყენების გზით	24.00

სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები

N	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
1	YS17_96	ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	ჰიპოკამტსა და პრეფრონტალურ ქერქში მეხსიერების ფუნქციასთან ასოცირებული სტრუქტურული და მორფოლოგიური ცვლილებების კვლევა ვირთაგვების ტვინის პარკუჭებში ოკადაიკის მჟავას ინექციის პირობებში	46.50
2	YS17_53	ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	ამიგდალას ცენტრალურ ბირთვში კანაბინოიდების მიკროინექციებით გამოწვეული ანტინოციცეპტური ტოლერანტობის შესწავლა ვირთაგვების რევმატოიდული ართრიტის მოდელში.	42.50
3	YS17_17	ელიავას ბაქტერიოფაგების ინსტიტუტი, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია	ბაქტერიოფაგები, როგორც ახალი ანტიბაქტერიული საშუალება B ჯგუფის სტრეპტოკოკით გამოწვეული ინფექციების წინააღმდეგ	36.50
4	YS17_35	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	CYP2A6 *1 და CYP2A6*4 გენოტიპირება ქართულ პოპულაციაში თამბაქოთი გამოწვეული ფილტვის კიბოს რისკების შესაფასებლად	32.50

აგრარული მეცნიერებები

პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
YS17_58	საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტი	თუთის აბრეშუმხვევიას ქართული საკოლექციო ჯიშების რეპროდუქციული ორგანოების კრიოკონსერვაციის მეთოდის შემუშავება	32.00

სოციალური მეცნიერებები

N	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
1	YS17_36	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზრდასრულობაში გადასვლა - განვითარების წინაპირობები და შედეგები	47.50
2	YS17_43	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	"ქართველთა აკულტურაციის პროცესისა და შინაგანი დიალოგისათვის მისი მნიშვნელობის კვლევა"	44.50
3	YS17_80	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უმცროსკლასელთა(I-IIIკლასები) აქტიური სწავლება განმავითარებელი და საგანთშორისი კავშირების შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანებით	43.00
4	YS17_90	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	საინვესტიციო აქტივობებზე კონკურენციის პოლიტიკის გავლენის შესწავლა	43.00
5	YS17_23	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოსამართლეების დამოუკიდებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა-ემპირიული კვლევა	42.00
6	YS17_11	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მორალური მსჯელობის ორიენტირი ქართველ ახალგზარდებში: რელიგია, ღირებულებები და ნორმები	33.00
7	YS17_72	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პოსტტრავმული ზრდა ახალგაზრდებში: მიმტევებლობის, პიროვნული მახასიათებლებისა და კოგნიტური გადამუშავების როლი	29.50
8	YS17_20	კავკასიის უნივერსიტეტი	დემოკრატიზაციის პროცესი კანონშემოქმედებით პრიზმაში: Rule of Law vs. Rule by Law	22.50
9	YS17_25	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი და საერთაშორისო ტერორიზმი	11.50

ჰუმანიტარული მეცნიერებები

N	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
1	YS17_60	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულიX-XIV საუკუნეების ხუთი ქართული ხელნაწერი წიგნისა და მათი ანდერძ-მინაწერების შესწავლა(ხელნაწერი წიგნების აღწერილობა; ანდერძ-მინაწერების კორპუსი;კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)	47.50
2	YS17_67	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინფორმაციის გადაცემისა და გავრცელების ფორმები ძველ საბერძნეთში - არქაიკის ეპოქიდან დემოკრატიულ ათენამდე	41.50
3	YS17_45	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და ტანამედროვე მდგომარეობა)	41.00
4	YS17_63	საქართველოს საპატრიარქო წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	,,მთიულეთის სინკრეტული რელიგიის ისტორიულ - ეთნოლოგიური ნარკვევი“.	40.50
5	YS17_42	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ეგრისის სამეფოს საფორტიფიკაციო ნაგებობები. ხუნწის ციხე - ონოგურისი	40.00
6	YS17_51	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მრავალგზისობის გამოხატვა ქართველურ ენებში	39.50
7	YS17_47	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზანტიური ტიტულატურა საქართველოში და ქართველები ბიზანტიის ინსტიტუციურ სისტემაში (პატრიკიოსი, ვიპატოსი, პროედროსი)	39.00
8	YS17_29	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	"საგანმანათლებლო პროექტი" საქართველოში და ეროვნული იდენტობა(1860-1900)	38.50
9	YS17_46	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართული კინომუსიკის ბაზების შექმნა ვიდეო-აუდიომასალის ჟანრული კატეგორიების კლასიფიკაციის საფუძველზე	35.00

10	YS17_30	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობა XI-XV საუკუნეებში	34.00
11	YS17_64	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ქართული კოსტიუმის ენციკლოპედია	30.00
12	YS17_37	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რელიგია თუ პოლიტიკა: Pro et Contra (ქართული აგიოგრაფიის მაგალითზე)	25.50
13	YS17_74	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1890-1900-იანი წლების ქართული ლიტერატურა ევროპული კულტურის კონტექსტში	25.00
14	YS17_18	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი	საქართველოს სამუზეუმო კოლექციებში დაცული XX საუკუნის მხატვრული კერამიკა	24.50